

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „აგროქართლის“ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "მსს ფასს"-ის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 29 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთ. ბუღალტერი  
ლეილა ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

| გრძელვადიანი აქტივები                                   | შენიშვნა | 31.12.2022        | 31.12.2021        |
|---------------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| ძირითადი საშუალებები                                    | 1        | 8 535 156         | 6 969 499         |
| საგადასახადო აქტივი                                     | 5        | 476 533           | 246 406           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                        |          | <b>9 011 689</b>  | <b>7 215 905</b>  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                               |          |                   |                   |
| წინასწარ გაწეული ხარჯები                                |          | 5 022             | 3 188             |
| მარაგები                                                | 2        | 20 147 202        | 18 574 898        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                              | 3        | 13 889 946        | 10 766 121        |
| ფული და ფულის ექვივალენტები                             | 4        | 23 406            | 217 898           |
| გაცემული სესხი                                          |          | 162 569           | 78 955            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                           |          | <b>34 228 145</b> | <b>29 641 059</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                     |          | <b>43 239 835</b> | <b>36 856 964</b> |
| <b>კაპიტალი</b>                                         |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                                      |          | 2 000             | 2 000             |
| არამაკონტროლებელი წილი                                  |          | (13 752)          | 142 547           |
| რეზერვები                                               |          | 1 370 523         | 1 352 853         |
| გაუნაწილებელი მოგება                                    |          | 21 272 285        | 15 334 443        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                     |          | <b>22 631 056</b> | <b>16 831 843</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                       |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                                        |          | 17 960 358        | 17 839 378        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                   | 7        | <b>17 960 358</b> | <b>17 839 378</b> |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                          |          |                   |                   |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 6        | 2 413 831         | 2 045 505         |
| მიღებული ავანსები                                       | 8        | 232 744           | 137 601           |
| საგადასახადო ვალდებულებები                              |          | 1 846             | 2 637             |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                      |          | <b>2 648 421</b>  | <b>2 185 743</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                |          | <b>20 608 778</b> | <b>20 025 121</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>                    |          | <b>43 239 835</b> | <b>36 856 964</b> |

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთავალტერი  
ლეილა ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)

|                                          | შენიშვნა | 2022             | 2021             |
|------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| შემოსავალი                               | 9        | 37 973 356       | 36 111 378       |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება | 10       | (31 520 055)     | (30 647 455)     |
| <b>საერთო მოგება</b>                     |          | <b>6 453 302</b> | <b>5 463 924</b> |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | 11       | (2 313 741)      | (2 141 912)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 |          | <b>4 139 561</b> | <b>3 322 012</b> |
| საპროცენტო შემოსავალი                    |          |                  | 218 068          |
| ფინანსური ხარჯები                        |          | (1 105 186)      | (513 870)        |
| მოგება კურსთაშორის სხვაობიდან            |          | 4 523 675        | 1 205 524        |
| ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან            |          | (1 760 813)      | (523 837)        |
| ფინანსური შემოსავალი                     |          |                  | 30 615           |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ( ხარჯი )  |          | (15 695)         | 165 054          |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>                 |          | <b>5 781 542</b> | <b>3 903 565</b> |
| მოგების გადასახადი                       |          |                  |                  |
| <b>წმინდა მოგება</b>                     |          | <b>5 781 542</b> | <b>3 903 565</b> |
| მფლობელთა წილი                           |          | <b>5 937 841</b> | <b>3 896 415</b> |
| არამაკონტროლებელი წილი                   |          | (156 300)        | 7 150            |

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთ. ბუღალტერი  
ლელია ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ლარი)

|                          | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | არამაკონტროლებელი<br>წილი | რეზერვები        | სულ<br>კაპიტალი   |
|--------------------------|-----------------------|-------------------------|---------------------------|------------------|-------------------|
| <b>31 დეკემბერი 2020</b> | <b>2 000</b>          | <b>12 385 396</b>       | <b>135 397</b>            | <b>1 301 222</b> | <b>13 824 015</b> |
| მოგება/ზარალი            |                       | 3 896 415               | 7 150                     |                  | 3 903 566         |
| გადახდილი დივიდენდი      |                       | (947 368)               |                           |                  | (947 368)         |
| რეზერვების ცვლილება      |                       |                         |                           | 51 631           | 51 631            |
| <b>31 დეკემბერი 2021</b> | <b>2 000</b>          | <b>15 334 444</b>       | <b>142 547</b>            | <b>1 352 853</b> | <b>16 831 844</b> |
| მოგება/ზარალი            |                       | 5 937 841               |                           |                  | 5 937 841         |
| გადახდილი დივიდენდი      |                       |                         |                           |                  |                   |
| რეზერვების ცვლილება      |                       |                         | (156 300)                 |                  | (156 300)         |
| კაპიტალის ცვლილება       |                       |                         |                           | 17 670           | 17 670            |
| <b>31 დეკემბერი 2022</b> | <b>2 000</b>          | <b>21 272 285</b>       | <b>(13 752)</b>           | <b>1 370 523</b> | <b>22 631 056</b> |

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთ. ბუღალტერი  
ლელია ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (ლარი)

|                                                           | 2021               | 2022               |
|-----------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>          |                    |                    |
| მოგება დაბეგვრამდე                                        | 3 903 565          | 5 781 542          |
| კორექტირებები:                                            |                    |                    |
| მოგების გადასახადი                                        | 17 838             |                    |
| ცვტა და ამორტიზაცია                                       | 376 090            | 220 891            |
| ძირითადი საშუალებების გასვლა                              | 61 405             | (209 427)          |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება          | 20 197             |                    |
| საკურსო სხვაობის ზარალი                                   | 681 686            | 2 762 863          |
| საპროცენტი შემოსავალი                                     | (218 068)          |                    |
| საპროცენტი ხარჯი                                          | 513 870            | 811 344            |
| <b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</b> |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება /(ზრდა)             | (1 194 235)        | (2 356 332)        |
| სხვა აქტივების შემცირება (ზრდა)                           |                    | (2 686 803)        |
| მარაგების შემცირება/ (ზრდა)                               | (5 367 373)        | (2 519 673)        |
| საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/ (შემცირება)             | (193 666)          | (230 127)          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)           | (6 923 835)        | 458 132            |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფული</b>         | <b>(8 322 525)</b> | <b>2 032 409</b>   |
| მიღებული პროცენტი                                         | 218 068            |                    |
| გადახდილი პროცენტი                                        | (513 870)          | (811 344)          |
| გადახდილი მოგების გადასახადი                              | 17 838             |                    |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული</b>  | <b>(8 600 489)</b> | <b>1 221 065</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>         |                    |                    |
| ძირითადი საშუალების შეძენა                                | (483 666)          | (1 536 537)        |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული            | 52 002             |                    |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული</b>        | <b>(431 664)</b>   | <b>(1 536 537)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>            |                    |                    |
| საბანკო სესხების წმინდა ცვლილება                          | 9 983 725          | 120 980            |
| გადახდილი დივიდენდები                                     | (900 000)          |                    |
| <b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული</b>            | <b>9 083 725</b>   | <b>120 980</b>     |
| <b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)</b>    | <b>51 571</b>      | <b>(194 493)</b>   |
| წლის დასაწყისში                                           | 166 327            | 217 898            |
| წლის ბოლოს                                                | 217 898            | 23 406             |

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთ. ბუღალტერი  
ლელია ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

შპს „აგროქართლი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

## სარჩევი

|                                                                                      |    |
|--------------------------------------------------------------------------------------|----|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ..... | 3  |
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....                                                 | 4  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                                              | 7  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                                                   | 8  |
| კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება .....                                                | 9  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....                                                    | 10 |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....                            | 11 |

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „აგროქართლის“ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "მსს ფასს"-ის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 29 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

---

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

---

მთ. ბუღალტერი  
ლევია ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

**შპს „აგროქართლი“-ს დამფუძნებლებს და მენეჯმენტს:**

### **პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აგროქართლის“ (შემდგომში “ჯგუფი”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

### **პირობითი მოსაზრების საფუძველები**

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 18,574,898 ლარს 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 20,147,202 ლარს 2022 წლის 31 დეკემბრისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჯგუფს არ შეუფასებია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ნიშნები და შესაბამისად არ არის დათვლილი გაუფასურების რეზერვი. შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შეფასების სისწორში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პაუსხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველს შესაქმნელად.

### **სხვა გარემოებები**

ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ჩაატარა სხვა აუდიტორმა ფირმამ, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 30 სექტემბერს გასცა პირობითი დასკვნა. წინამორბედი აუდიტორული ფირმის გარიგების პარტიორს ასევე წარმოადგენდა ზაზა ტრიპოლსკი (SARAS-A-760877).

### **მმართველობითი ანგარიშგება**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან.
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული

არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის დ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ზაზა ტრიპოლსკი.

ზაზა ტრიპოლსკი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-760877)

შპს „ზეტ რეპორტი“ (SARAS-F-649866)

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი, 2023

## კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

| გრძელვადიანი აქტივები                                   | შენიშვნა | 31.12.2022        | 31.12.2021        |
|---------------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| ძირითადი საშუალებები                                    | 1        | 8 535 156         | 6 969 499         |
| საგადასახადო აქტივები                                   | 5        | 476 533           | 246 406           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                        |          | <b>9 011 689</b>  | <b>7 215 905</b>  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                               |          |                   |                   |
| წინასწარ გაწეული ხარჯები                                |          | 5 022             | 3 188             |
| მარაგები                                                | 2        | 20 147 202        | 18 574 898        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                              | 3        | 13 889 946        | 10 766 121        |
| ფული და ფულის ექვივალენტები                             | 4        | 23 406            | 217 898           |
| გაცემული სესხები                                        |          | 162 569           | 78 955            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                           |          | <b>34 228 145</b> | <b>29 641 059</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                     |          | <b>43 239 835</b> | <b>36 856 964</b> |
| <b>კაპიტალი</b>                                         |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                                      |          | 2 000             | 2 000             |
| არამაკონტროლებელი წილი                                  |          | (13 752)          | 142 547           |
| რეზერვები                                               |          | 1 370 523         | 1 352 853         |
| გაუნაწილებელი მოგება                                    |          | 21 272 285        | 15 334 443        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                     |          | <b>22 631 056</b> | <b>16 831 843</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                       |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                                        |          | 17 960 358        | 17 839 378        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                   | 7        | <b>17 960 358</b> | <b>17 839 378</b> |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                          |          |                   |                   |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 6        | 2 413 831         | 2 045 505         |
| მიღებული ავანსები                                       | 8        | 232 744           | 137 601           |
| საგადასახადო ვალდებულებები                              |          | 1 846             | 2 637             |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                      |          | <b>2 648 421</b>  | <b>2 185 743</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                |          | <b>20 608 778</b> | <b>20 025 121</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>                    |          | <b>43 239 835</b> | <b>36 856 964</b> |

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთ. ბუღალტერი  
ლეილა ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)

|                                          | შენიშვნა | 2022             | 2021             |
|------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| შემოსავალი                               | 9        | 37 973 356       | 36 111 378       |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება | 10       | (31 520 055)     | (30 647 455)     |
| <b>საერთო მოგება</b>                     |          | <b>6 453 302</b> | <b>5 463 924</b> |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | 11       | (2 313 741)      | (2 141 912)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 |          | <b>4 139 561</b> | <b>3 322 012</b> |
| საპროცენტო შემოსავალი                    |          |                  | 218 068          |
| ფინანსური ხარჯები                        |          | (1 105 186)      | (513 870)        |
| მოგება კურსთაშორის სხვაობიდან            |          | 4 523 675        | 1 205 524        |
| ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან            |          | (1 760 813)      | (523 837)        |
| ფინანსური შემოსავალი                     |          |                  | 30 615           |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ( ხარჯი )  |          | (15 695)         | 165 054          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                |          | <b>5 781 542</b> | <b>3 903 565</b> |
| მოგების გადასახადი                       |          |                  |                  |
| <b>წმინდა მოგება</b>                     |          | <b>5 781 542</b> | <b>3 903 565</b> |
| მფლობელთა წილი                           |          | 5 937 841        | 3 896 415        |
| არამაკონტროლებელი წილი                   |          | (156 300)        | 7 150            |

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთ. ბუღალტერი  
ლეილა ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ლარი)

|                          | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | არამაკონტროლებელი<br>წილი | რეზერვები        | სულ<br>კაპიტალი   |
|--------------------------|-----------------------|-------------------------|---------------------------|------------------|-------------------|
| <b>31 დეკემბერი 2020</b> | <b>2 000</b>          | <b>12 385 396</b>       | 135 397                   | <b>1 301 222</b> | <b>13 824 015</b> |
| მოგება/ზარალი            |                       | 3 896 415               | <b>7 150</b>              |                  | <b>3 903 566</b>  |
| გადახდილი დივიდენდი      |                       | (947 368)               |                           |                  | <b>(947 368)</b>  |
| რეზერვების ცვლილება      |                       |                         |                           | 51 631           | <b>51 631</b>     |
| <b>31 დეკემბერი 2021</b> | <b>2 000</b>          | <b>15 334 444</b>       | <b>142 547</b>            | <b>1 352 853</b> | <b>16 831 844</b> |
| მოგება/ზარალი            |                       | 5 937 841               |                           |                  | <b>5 937 841</b>  |
| გადახდილი დივიდენდი      |                       |                         |                           |                  |                   |
| რეზერვების ცვლილება      |                       |                         | (156 300)                 |                  | <b>(156 300)</b>  |
| კაპიტალის ცვლილება       |                       |                         |                           | 17 670           | <b>17 670</b>     |
| <b>31 დეკემბერი 2022</b> | <b>2 000</b>          | <b>21 272 285</b>       | <b>(13 752)</b>           | <b>1 370 523</b> | <b>22 631 056</b> |

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთ. ბუღალტერი  
ლევია ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

## კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (ლარი)

|                                                           | 2021               | 2022               |
|-----------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>          |                    |                    |
| მოგება დაბეგვრამდე                                        | 3 903 565          | 5 781 542          |
| კორექტირებები:                                            |                    |                    |
| მოგების გადასახადი                                        | 17 838             |                    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                      | 376 090            | 220 891            |
| ძირითადი საშუალებების გასვლა                              | 61 405             | (209 427)          |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება          | 20 197             |                    |
| საკურსო სხვაობის ზარალი                                   | 681 686            | 2 762 863          |
| საპროცენტი შემოსავალი                                     | (218 068)          |                    |
| საპროცენტი ხარჯი                                          | 513 870            | 811 344            |
| <b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</b> |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება /(ზრდა)             | (1 194 235)        | (2 356 332)        |
| სხვა აქტივების შემცირება (ზრდა)                           |                    | (2 686 803)        |
| მარაგების შემცირება/ (ზრდა)                               | (5 367 373)        | (2 519 673)        |
| საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/ (შემცირება)             | (193 666)          | (230 127)          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)           | (6 923 835)        | 458 132            |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფული</b>         | <b>(8 322 525)</b> | <b>2 032 409</b>   |
| მიღებული პროცენტი                                         | 218 068            |                    |
| გადახდილი პროცენტი                                        | (513 870)          | (811 344)          |
| გადახდილი მოგების გადასახადი                              | 17 838             |                    |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული</b>  | <b>(8 600 489)</b> | <b>1 221 065</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>         |                    |                    |
| ძირითადი საშუალების შეძენა                                | (483 666)          | (1 536 537)        |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული            | 52 002             |                    |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული</b>        | <b>(431 664)</b>   | <b>(1 536 537)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>            |                    |                    |
| საბანკო სესხების წმინდა ცვლილება                          | 9 983 725          | 120 980            |
| გადახდილი დივიდენდები                                     | (900 000)          |                    |
| <b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული</b>            | <b>9 083 725</b>   | <b>120 980</b>     |
| <b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)</b>    | <b>51 571</b>      | <b>(194 493)</b>   |
| <b>წლის დასაწყისში</b>                                    | <b>166 327</b>     | <b>217 898</b>     |
| <b>წლის ბოლოს</b>                                         | <b>217 898</b>     | <b>23 406</b>      |

დირექტორი  
ნიკოლოზ ელიკაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

მთ. ბუღალტერი  
ლეილა ზაზარაშვილი

2023 წლის 29 სექტემბერი  
გორი, საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

### 1. ძირითადი საქმიანობა

შპს „აგროქართლი“ არის 2005 წლის 3 ოქტომბერს დაფუძნებული კომპანია. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 4.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: მცენარეთა დაცვის საშუალებების-პესტიციდების, სასუქების, სათესლე მასალის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ინვენტარის რეალიზაცია.

კომპანიის დამფუძნებლები (მესაკუთრეები) არიან ფიზიკური პირები: გიორგი სიმონიშვილი-60%, ნიკოლოზ ელიკაშვილი-20%, ელიზბარ ძამელაშვილი-20%.

2022 წელს კომპანიის დირექტორს წარმოადგენდა გიორგი სიმონიშვილი.

### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

#### *შესაბამისობის განცხადება*

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (მსს ფსს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

#### *მომზადების საფუძველი*

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;

- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

### **ფუნქციონირებადი საწარმო**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის ფუნქციონირებადობას, შესაბამისად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისათვის.

გასული პერიოდების საქმიანობის შედეგად ჯგუფის წმინდა მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური მოთხოვნები, დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მოცულობითი ღირებულების ძირითადი საშუალებები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

### **კონსოლიდაციის საფუძველი**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქცეოდა.

**ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:**

*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები*

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

**საანგარიშგებო ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას.

**უცხოური ვალუტა**

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი

**შპს „აგროქართლი“**  
**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი**

განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

|                   | 31 დეკემბერი | 31 დეკემბერი |
|-------------------|--------------|--------------|
|                   | 2022         | 2021         |
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.7020       | 3.0976       |
| ლარი/1 ევრო       | 2.8844       | 3.5040       |

**ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

*საკუთრებაში არსებული აქტივები*

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

**ცვეთა**

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

|                                                      | წელი |
|------------------------------------------------------|------|
| შენობა-ნაგებობები                                    | 20   |
| მილსადენები                                          | 20   |
| ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე მოწყობილობები | 5    |
| მსუბუქი ავტომობილები                                 | 5    |
| სხვა სატრანსპორტო საშუალებები                        | 5    |
| არამატერიალური აქტივები                              | 6    |
| სხვა ძირითადი საშუალებები                            | 5    |

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

### **არამატერიალური აქტივები**

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ პროგრამულ უზრუნველყოფას. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების ექვს წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

### **მოგების გადასახადი**

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ ჯგუფი მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

*მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან*

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად არ წარმოიქმნება გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება 2017 წლის 01 იანვრიდან.

#### ***დამატებული ღირებულების გადასახადი***

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

#### ***სასაქონლო მატერიალური მარაგები***

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სამშენებლო მასალებს, ძირითადი საშუალებების სათადარიგო ნაწილებს, საცხებ-საპოხ მასალებსა და საწვავს. მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

#### ***ფინანსური ინსტრუმენტები***

##### **(ა) ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფს არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

### **სესხები და მოთხოვნები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### **ფინანსური აქტივების აღიარების წესები**

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

### **(ბ) ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ჯგუფის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

#### **ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა**

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

#### **გადახურვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

#### **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

#### **მოკლევადიანი მოთხოვნები**

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

#### **გადახდილი ავანსები**

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

### **საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება წესდებით. წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო მფლობელის მიერ.

### **დივიდენდები**

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

### **ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები**

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

### **შემოსავლების აღიარება**

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავლის მიღება ხდება რეალიზებული საქონლის ანდა მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება მათი საფასურის მიხედვით.

შემოსავალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოედინება და შემოსავალი შესაძლოა საიმედოდ იქნას შეფასებული. შემოსავლები მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნებისმიერი სავაჭრო ამონაგების, დისკონტირების, ფასდაკლებისა და დღგ-ის გამოკლებით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან - აღიარდება როდესაც საქონლის მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება გადაეცემა კლიენტს და კლიენტი მიიღებს მიწოდებას.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან - აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში.

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს.

### **ფინანსური შემოსავალი და ხარჯები**

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

### *თანამშრომლების სარგებელი*

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

### *გაქვითვა*

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

### *კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები*

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

### *ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა*

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

### *დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი*

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაწვდიან ჯგუფში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული

ზარალის გამოცდილებაზე დარყდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

შპს „აგროქართლი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

1 ძირითადი საშუალებები

|                                | მიწა      | შენობა-<br>ნაგებობები<br>და<br>დაუმთავრ.<br>მშენებლობა | მრავალწლიანი<br>ნარგავები | ავეჯი და<br>ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა ძირით.<br>საშუალებები | სულ         |
|--------------------------------|-----------|--------------------------------------------------------|---------------------------|-----------------------------------|-----------------------------|----------------------------|-------------|
| ბალანსი 31.12.2020             | 2 461 786 | 3 300 146                                              | 288 846                   | 99 592                            | 702 643                     | 347 181                    | 7 200 194   |
| შემოსვლა                       | 255 550   | 114 077                                                | 1 800                     | 18 986                            | 162 979                     | 532 990                    | 1 086 382   |
| გასვლა                         | (126 820) |                                                        |                           |                                   | (17 758)                    |                            | (144 578)   |
| ბალანსი 31.12.2021             | 2 590 516 | 3 414 223                                              | 290 646                   | 118 578                           | 847 864                     | 880 171                    | 8 141 998   |
| შემოსვლა                       |           | 1 586 130                                              |                           | 29 188                            | 72 390                      | 69 721                     | 1 757 429   |
| გასვლა                         |           |                                                        |                           |                                   |                             |                            |             |
| ბალანსი 31.12.2022             | 2 590 516 | 5 000 373                                              | 290 646                   | 147 766                           | 920 254                     | 978 991                    | 9 928 546   |
| ბალანსი 31.12.2020             |           | (408 082)                                              |                           | (13 736)                          | (159 730)                   | (96 685)                   | (678 233)   |
| ცვეთა 2021 წლისთვის            |           | (151 531)                                              |                           | (6 067)                           | (132 057)                   | (204 611)                  | (494 266)   |
| გასვლის შედეგად ელიმინირება    |           |                                                        |                           |                                   |                             |                            |             |
| ბალანსი 31.12.2021             |           | (559 613)                                              |                           | (19 803)                          | (291 787)                   | (301 296)                  | (1 172 499) |
| ცვეთა 2022 წლისთვის            |           | (32 351)                                               |                           | (4 937)                           | (99 353)                    | (84 250)                   | (220 891)   |
| გასვლის შედეგად ელიმინირება    |           |                                                        |                           |                                   |                             |                            |             |
| ბალანსი 31.12.2022             |           | (591 964)                                              |                           | (24 740)                          | (391 140)                   | (385 546)                  | (1 393 390) |
| წმინდა საბალანსო<br>ღირებულება |           |                                                        |                           |                                   |                             |                            |             |
| ბალანსი 31.12.2020             | 2 461 786 | 2 892 064                                              | 288 846                   | 85 856                            | 542 913                     | 250 496                    | 6 521 961   |
| ბალანსი 31.12.2021             | 2 590 516 | 2 854 610                                              | 290 646                   | 98 775                            | 556 077                     | 578 875                    | 6 969 499   |
| ბალანსი 31.12.2022             | 2 590 516 | 4 408 409                                              | 290 646                   | 123 026                           | 529 114                     | 593 445                    | 8 535 156   |

შპს „აგროქართლი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

| 2. მარაგები                                                       | 2022              | 2021              |
|-------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საქონელი                                                          | 20 006 042        | 18 443 838        |
| ნედლეული და მასალები                                              | 20 340            | 24 170            |
| მზა პროდუქცია                                                     | 115 248           | 99 914            |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი                                 | 5 572             | 6 976             |
| <b>სულ</b>                                                        | <b>20 147 202</b> | <b>18 574 898</b> |
| <b>3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>                              | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან                          | 2 019 046         | 1 507 551         |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ                              | 2 219 808         | 520 444           |
| მოთხოვნები მატერიალ. პასუხისმგებელი პირების მიმართ                | 25 700            |                   |
| მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები                                   | 9 625 391         | 8 738 126         |
| <b>სულ</b>                                                        | <b>13 889 946</b> | <b>10 766 121</b> |
| <b>4. ფული და ფულის ექვივალენტები</b>                             | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| ფული სალაროში                                                     | 1 677             | 71 401            |
| ეროვნული ვალუტა ბანკში                                            | 21 729            | 4 136             |
| უცხოური ვალუტა ბანკში                                             |                   | 142 360           |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>                            | <b>23 406</b>     | <b>217 897</b>    |
| <b>5. საგადასახადო აქტივები</b>                                   | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| გადასახდელი მოგების გადასახადი                                    |                   | (7 778)           |
| იურიდიული პირის დივიდენდებიდან გადასახადი                         |                   | (47 368)          |
| იურიდიული პირის პროცენტებიდან გადასახადი                          |                   | (1 539)           |
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი                                | (46)              | (24 764)          |
| გადასახდელი დღგ                                                   |                   | (493 031)         |
| გადახდილი დღგ                                                     | 539 876           | 870 385           |
| ქონების გადასახადი                                                | (57 268)          | (43 990)          |
| სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი                                | (3 146)           | (3 146)           |
| არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი                             | (2 184)           | (2 184)           |
| საპენსიო ფონდი                                                    | (699)             | (178)             |
| <b>სულ</b>                                                        | <b>476 533</b>    | <b>246 406</b>    |
| <b>6. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები</b> | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| მოწოდებიდან და მომსახურებ. წარმოქმნ. ვალდებულებები                | 2 353 877         | 1 936 697         |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე                          |                   | 95 193            |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                                   | 59 954            | 13 615            |
| <b>სულ</b>                                                        | <b>2 413 831</b>  | <b>2 045 505</b>  |

შპს „აგროქართლი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

|                                                  |                   |                   |
|--------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>7. გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| მიღებული სესხები                                 | 17 960 358        | 17 839 378        |
| <b>სულ</b>                                       | <b>17 960 358</b> | <b>17 839 378</b> |
| <b>8. მიღებული ავანსები</b>                      | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| მიღებული ავანსები                                | 232 744           | 137 601           |
| <b>სულ</b>                                       | <b>232 744</b>    | <b>137 601</b>    |
| <b>9. საოპერაციო შემოსავალი</b>                  | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| შემოსავალი რეალიზაციიდან                         | 37 925 879        | 36 077 854        |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                      | 47 477            | 33 524            |
| <b>სულ შემოსავალი</b>                            | <b>37 973 356</b> | <b>36 111 378</b> |
| <b>10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| ელექტროენერგია და გაზი                           |                   | 1 064             |
| პირდაპირი ხელფასი                                | 91 583            | 94 457            |
| საპენსიო ფონდი დამსაქმებლის                      | 16 188            | 12 809            |
| ელექტროენერგია                                   | 48 875            | 34 071            |
| გაყიდული ძირითადი საშუალება                      | 140 640           | 31 803            |
| გაყიდული / შეძენილი საქონელი                     | 30 999 640        | 30 314 779        |
| გახარჯული/შეძენილი საწვავი                       | 100 024           | 71 154            |
| გაყიდული წარმოებული პროდუქტი                     | 123 105           | 87 317            |
| <b>სულ</b>                                       | <b>31 520 055</b> | <b>30 647 455</b> |
| <b>11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>     | <b>2022</b>       | <b>2021</b>       |
| რეკლამის ხარჯები                                 | 39 092            | 7 931             |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები             | 27 561            | 15 604            |
| შრომის ანაზღაურება                               | 1 431 167         | 1 113 620         |
| საიჯარო ქირა                                     | 192 494           | 122 829           |
| საკანცელარიო ხარჯები                             | 4 856             | 4 077             |
| კომუნიკაციის ხარჯები                             | 8 109             | 6 876             |
| დაზღვევის ხარჯები                                | 5 936             | 8 163             |
| წყალმომარაგება                                   | 1 079             | 954               |
| რემონტის ხარჯები                                 |                   | 11 597            |
| გაზი                                             | 10 867            | 8 016             |
| ცვეთა და ამორტიზაცია                             | 220 891           | 494 266           |
| სხვა საგადასახადო ხარჯები                        | 62 598            | 132 638           |
| საბანკო ხარჯები                                  | 292 799           | 167 236           |
| მივლინების ხარჯები                               |                   | 3 530             |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                        | 203               | 3 745             |

**შპს „აგროქართლი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი**

|                     |                  |                  |
|---------------------|------------------|------------------|
| სხვა საერთო ხარჯები | 16 090           | 40 831           |
| <b>სულ</b>          | <b>2 313 741</b> | <b>2 141 913</b> |

## **სასამართლო დავები**

კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს შეამციროს ყველა შესაძლო დანაკარგი და ამ მიზნით ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებშიც კი უხდებოდა მონაწილეობის მიღება სასამართლო დავებში. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად თვალყურს ადევნებს პოტენციურ სასამართლო პროცესებს.

2019 წლის 24 სექტემბრიდან შპს „აგროქართლი“-ს ს.ნ. 218045764 წინააღმდეგ მიმდინარეობდა შრომით-სამართლებრივი დავა, ყოფილი გაყიდვების მენეჯერის, დავით ხმელიძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის დაკისრების მოთხოვნით. აღნიშნული დავა დასრულდა 2022 წელს, შპს „აგროქართლს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4975 ლარის გადახდის ვალდებულება.

## **გადასახადები**

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

## **გარემოსდაცვითი საკითხები**

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

## **დაზღვევა**

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამ იღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას,

## **შპს „აგროქართლი“**

### **ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

#### **საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი**

არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

### **3. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ შვილობილი კომპანიები-შპს „აგრიკო“ (ს.ნ 404916686) და შპს „ციცინათელა“ (ს.ნ 217889676), სადაც დირექტორს წარმოადგენს შპს „აგროქართლის“ დირექტორი გიორგი სიმონიშვილი (პ.ნ. 01001020903). ასევე დაკავშირებულ მხარედ ითლება შპს „ნიუ აგრო NEW AGRO“ (ს.ნ. 417880528), სადაც დირექტორი და 100% წილის მფლობელია შპს „აგროქართლის“ დირექტორი გიორგი სიმონიშვილი.

შპს „აგრიკომი“ 50% წილის მფლობელია შპს „აგროქართლი“, რომელსაც შპს „აგრიკოსგან“ ნაქირავები აქვს საიჯარო ხელშეკრულებით შენობა და იყენებს კომერციული საქმიანობისთვის. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „აგროქართლს“ შპს „აგრიკოს“ წინაშე გააჩნდა საიჯარო ქირაზე დავალიანების ნაშთი 5972.76 ლარი; ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანების ნაცვლად არის ავანსად გადახდილი 4543.80 ლარი

შპს „აგრიკომი“ შპს „აგროქართლისგან“ წინა წლებში შეიძინა საქონელი, რაზეც დასაფარი დავალიანება შპს „აგროქართლის“ წინაშე ნაშთად მოსდევს. ეს დავალიანება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 12550 ლარი. 2020 და 2021 წლების განმავლობაში ეს დავალიანება არ დაფარულა და იგივე ნაშთია 2021 წლის ბოლოსთვისაც. 2020 და 2021 წლების განმავლობაში შპს „აგრიკოს“ შპს „აგროქართლისგან“ საქონელი აღარ შეუსყიდია.

შპს „ციცინათელას“, სადაც 100% წილს ფლობს შპს „აგროქართლი“, მფლობელობაში აქვს მხოლოდ მიწა, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არაა გამოყენებული ამ ეტაპზე. შპს „ციცინათელა“ რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას არ ეწევა. შპს „აგროქართლი“ მიწის გადასახადის გადახდისთვის უხდის თანხას შპს „ციცინათელას“, რაც აისახება შპს „ციცინათელას“ კაპიტალში თანხის შეტანით.

შპს „ნიუ აგრო NEW AGRO“ წარმოადგენს შპს „აგროქართლისთვის“ საქონლის მიმწოდებელს. ძირითადად, აწვდის სხვადასხვა სახის სასუქებს. სხვა სახის ეკონომიკური ურთიერთობა მათ არ აქვთ. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „აგროქართლს“ შპს „ნიუ აგრო NEW AGRO“-ს

## შპს „აგროქართლი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

#### საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

წინაშე გააჩნდა დავალიანების ნაშთი 812719.39 ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1094998.88 ლარი.

#### 4. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2000 ლარი.

#### 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ამ ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში კომპანიის საქმიანობაში ადგილი ქონდა რამოდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას.

2023 წლის 2 მარტს გიორგი სიმონიშვილის ნაცვლად კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ნიკოლოზ ელიკაშვილი, 20% წილის მფლობელი.

30.05.2023 თარიღს შპს „აგროქართლმა“ ს.ნ. 218045764 სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ნონა სამადაშვილის მიმართ. დავის საგანია მოპასუხისათვის 2021-2022 წლებში მიწოდებული პროდუქციის ღირებულების 117 556 ლარის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება. ამჟამად დავა მიმდინარეობს გორის რაიონულ სასამართლოში.

05.04.2023 თარიღს ელიზბარ ძამელაშვილმა სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს „აგროქართლის“ ს.ნ. 218045764 მიმართ. მოსარჩელე ითხოვს შპს „აგროქართლიდან“ გასვლას და შპს „აგროქართლში“ მისი კუთვნილი 20% წილის ღირებულების ანაზღაურებას 1 200 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამჟამად დავა მიმდინარეობს გორის რაიონულ სასამართლოში. შპს „აგროქართლის“ მენეჯმენტი და იურისტი თვლის, რომ აღნიშნული დავის მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულების შანსი დაბალია.

შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

## შპს აგროქართლი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2022 წელი

## შინაარსი

1. შესავალი-ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ
2. საქმიანობის ანგარიში
3. შვილობილი კომპანიები
4. განვითარების პერსპექტივები
5. ძირითადი რისკები

## 1. შესავალი-ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს აგროქართლი(ს.ნ. 218045764) დარეგისტრირდა 2005 წლის 3 ოქტომბერს. მისი ძირითადი საქმიანობაა მცენარეთა დაცვის საშუალებების - პესტიციდების, სასუქების, სათესლე მასალის,სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და ტექნიკის რეალიზაცია.

შპს აგროქართლში წილებს ფლობენ:

გიორგი სიმონიშვილი-60%; ნიკოლოზ ელიკაშვილი-20% და ელიზბარ ძამელაშვილი-20%.

ამჟამად შპს აგროქართლის დირექტორია ნიკოლოზ ელიკაშვილი (2023 წ. 2 მარტიდან). გასულ წელს დირექტორი იყო გიორგი სიმონიშვილი.

შპს აგროქართლი 100 % წილს ფლობს შპს ცივინათელაში (ს.ნ. 217889676), რომლის დირექტორიცაა გიორგი სიმონიშვილი.

შპს აგროქართლი 50 % წილს ფლობს შპს აგრიკოში (ს.ნ. 404916686), რომლის დირექტორიცაა გიორგი სიმონიშვილი.

მისამართი: საქართველო, შიდა ქართლი, ქ. გორი , ცხინვალის გზატკეცილი # 4  
,ელ.ფოსტა: [AGROQARTLI.GEORGIA@gmail.com](mailto:AGROQARTLI.GEORGIA@gmail.com),

ვებ-გვერდი : [www.agrokartli.ge](http://www.agrokartli.ge)

## 2. საქმიანობის ანგარიში

თავდაპირველად კომპანია ემსახურებოდა 4000 ფერმერს, რომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კი კომპანია ემსახურება 9500-მდე ფერმერს, აწვდის მათ მაღალხარისხიან პესტიციდებს (ინსექტიციდები, ფუნგიციდები, ჰერბიციდები), სასუქებს, სათესლე მასალას და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცირე ინვენტარს. მაღალკვალიფიციურ კონსულტაციებს უწევს მათ ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების წესების შესახებ; კომპანიას აქვს მინი ლაბორატორია, რომლის საშუალებითაც ხდება ნიადაგისა და ფოთლის ანალიზი. ასევე აქ ტარდება ტრენინგები მცენარეთა დაცვის საშუალებების სიახლეების შესახებ.

შპს აგროქართლში არის მექანიზაციით მომსახურების ცენტრი, რაც ხელს უწყობს ფერმერებს მათი ტერიტორიების აგროვადებში დამუშავებაში, რათა სახნავ-სათესი მიწები მიზნობრივად და სრულად იყოს გამოყენებული.

შპს აგროქართლს გორის რაიონ სოფელ ძევერაში გაშენებული აქვს სადემონსტრაციო ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო კულტურების, კერძოდ: ვაშლი, ბალი, ვაზი, ჟოლო. აგრეთვე აშენებული აქვს სამაცივრე-სასაწყობო შენობა, სადაც ხდება მოწეული მოსავლის შენახვა. ასევე მსხვილი ფერმერები სარგებლობენ სამაცივრე სასაწყობო მეურნეობის მომსახურებით.

სისტემატიურად იმართება მინდვრის დღეები, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს, ახალ საშუალებებს, რომელიც ფერმერს უადვილებს შრომას და უზრდის მოსავალს.

შპს აგროქართლი საქონლის შესყიდვებს აწარმოებს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კომპანიებიდან.

შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

ადგილობრივებიდან ყველაზე მსხვილი შესყიდვები ხდება შემდეგი კომპანიებიდან:

სს რუსთავის აზოტი, შპს ნიუ აგრო NEW AGRO (100 % წილის მფლობელი და დირექტორია გიორგი სიმონიშვილი,პ.ნ. 01001020903), შპს ნიუაგრო+ , შპს რუსაგრო ლლს.

უცხოური კომპანიებიდან,რომლებიც აწარმოებენ ბრენდულ საქონელს, მსხვილი შესყიდვებია:SYNGENTA AGRO AG Schwarwaldallee 215/CH 4058 Basel /Switzerland,SYNGENTA SEEDS BV/WESTENDE 62 POSTBUS 2/1600 AA ENKHUZEN NETHERLANDS ,ADAMA UKRAINE LLC ID kode 361384418,ADAMA MAKHTESHIM LTD,ADAMA Manufacturing Poland S.A.,AGRITECNO FERTILIZANTES S L,HARO LTD ბულგარეთი EURO,INTERNACIONAL QUIMICA DE COBRE S A DE C V Mexiko D F, SYNGENTA FRANCE SAS.Ultraquimia Agricola S A de C V.



შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება



შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება



შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

შპს აგროქართლი ერთ-ერთი წამყვანი სერვის-ცენტრია და მომწოდებელი შიდა ქართლში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამუშავეს თორმეტ სავაჭრო ობიექტს; მათგან ხუთი სავაჭრო ობიექტი არის შპს აგროქართლის ბალანსზე, დანარჩენი შვიდი სავაჭრო ობიექტი არის საიჯარო ქირით აღებული:

1. გორი, ცხინვალის გზატკეცილი # 2 ,4 ა- შპს აგროქართლის ოფისი და სამი სავაჭრო ობიექტი. (საკუთრებაა)
2. გორი, ცხინვალის გზატკეცილი # 4 - ერთი სავაჭრო ობიექტი. (საკუთრებაა)
3. გორის რაიონი, სოფელი შინდისი - ერთი სავაჭრო ობიექტი. (საკუთრება)
4. გორი, ცხინვალის გზატკეცილი # 22 - ერთი სავაჭრო ობიექტი. (საიჯარო ქირით)
5. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე - 3 კმ- ერთი სავაჭრო ობიექტი. (საიჯარო ქირით)
- 6 .თბილისი/გლდან-ნაძალადევი/სარაჯიშვილის გამზ. 12 - ერთი სავაჭრო ობიექტი. (საიჯარო ქირით)
7. ქ.გურჯაანი თავისუფლების ქუჩა # 63 ა (საიჯარო ქირით)
- 8.ლაგოდეხის რაიონი სოფელი აფენი (საიჯარო ქირით)
9. თელავის რაიონი თბილისის გზატკეცილი (საიჯარო ქირით)
10. წყალტუბო, სოფელი გეგუთი ( საიჯარო ქირით )

შპს აგროქართლის საკუთრებაა ორი სავაჭრო ობიექტი: ერთი გორის რაიონ სოფელ კარალეთში და მეორე გორის რაიონ სოფელ ტყვიავეში, რომლებიც გაქირავებულია ინდ. მეწარმეებზე და რეალიზაციას ახდენენ მხოლოდ ჩვენი კომპანიის საქონელით.

2022 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სავაჭრო ობიექტის მშენებლობა ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი # 183 , რომელიც დასრულდა 2023 წლის დასაწყისში და დღეის მდგომარეობით ვახორციელებთ ეკონომიკურ საქმიანობას.



### 3. შვილობილი კომპანიები

შპს აგრიკო(ს.ნ. 404916686) დარეგისტრირდა 02.11.2011 წელს.

მესაკუთრე: შპს აგროქართლი(ს.ნ. 218045764) -50 % წილის მმართველი;

მესაკუთრე: შპს აგროვიტა(ს/ნ 204558102)- 50 % წილის მმართველი.

მისი ძირითადი საქმიანობაა:

საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებული თამბაქოთი, თესლეებით და ცხოველების საკვებით.

შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით და საკუთნოებით.

საბითუმო ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით.

საცალო ვაჭრობა ყვავილებით, მცენარეებით, თესვებით, სასუქებით, შინაური ცხოველებით და შინაური ცხოველების საკვებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

შპს აგრიკო დაარსებიდან 2018 წლის ჩათვლით ეწეოდა ძირითად საქმიანობებს.

2018 წლის სექტემბრის თვიდან კი შენობა-ნაგებობა ხელშეკრულებით-საიჯარო ქირით აქვს გაცემული შპს აგროქართლზე (ს.ნ. 218045764) და შესაბამისად, საქმიანობა საიჯარო ქირიდან შემოსავალია დღემდე.

სამომავლოდ, დასაგეგმია მესაკუთრეების მიერ თუ რა საქმიანობას გააგრძელებს.

შპს ციცინათელა (ს.ნ. 217889676), რეგისტრირებულია 30.08.1996.

არ ფუნქციონერებს, აქვს უძრავი ქონება-არასასოფლო-სამეურნეო მიწა.

ყოველწლიურად იხდის მიწის გადასახადს კაპიტალის შევსებით დედა კომპანია-შპს აგროქართლის (ს.ნ. 218045764) მიერ.

სამომავლოდ ვგეგმავთ სავაჭრო ობიექტის აშენებას.

#### 4. განვითარების პერსპექტივები

2022 წელს მოვიპოვეთ ექსკლუზივი მომწოდებელ კომპანია:

SYNGENTA AGRO AG Schwarwaldallee 215/CH 4058 Basel/Switzerland-ზე, ასევე შევიძინეთ პესტიციდების შხამ-ქიმიკატების დასაფასოვებელი მოწყობილობები, სადაც ხდება პესტიციდების (შხამ ქიმიკატების) მცირე დოზებად დაფასოება.

შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

შემენილი გვაქვს ცხრა მეტეოროლოგიური სადგური და ცხრა მონიტორი, რომლის დანერგვას ვაპირებთ შიდა ქართლში სამომავლოდ, რითიც მოხდება ფერმერების გაფრთხილება წინასწარ სატელეფონო შეტყობინებით მცენარეთა მოსალოდნელი დაავადებების და მათი დროული შეწამლის შესახებ შესაბამისი შხამ ქიმიკატებით.

## 5. ძირითადი რისკები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვლინდება პოტენციური დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვ ამიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მატერიალური პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა;

- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება;

- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას;

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილია ქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს დათანხმებს;

- გაიცემა მაღალი ანაზღაურება;

- პასუხისმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის

შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულებ ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად კომპანია საჭირო მარაგებს იძენს პროექტის დაწყებისთანავე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს კომპანიაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას.

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება:

დირექტორმა კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 01 სექტემბერს.

დირექტორი: ნიკოლოზ ელიკაშვილი

შპს აგროქართლი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება  
დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულებ ან მომავალი ფულადი ნაკადები  
იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო  
რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი  
ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და  
კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის  
ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ  
მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად კომპანია საჭირო მარაგებს იძენს  
პროექტის დაწყებისთანავე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს კომპანიაში რისკის მართვის გამართული  
სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას.

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება:

დირექტორმა კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და  
მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 01 სექტემბერს.

დირექტორი: ნიკოლოზ ელიკაშვილი